



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

CPR PROJECT  
Care Prevention Rights



# ფსიქოლოგიური ნივთიერებები და ავტომობილის მართვა

ახალგაზრდებისთვის



წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

*მომზადებულია საზოგადოებრივ  
გაერთიანება „ბემონში“*



ავტომობილის მართვა რთული ამოცანაა, რომელსაც სჭირდება კარგი მხედველობა, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება, დაგეგმვა, თვალყურის მიდევნება, ფხიზლად ყოფნა, სწრაფი რეაგირება, კოორდინაცია და ადეკვატური მოტორული აქტივობა. რაც მთავარია, ავტომობილის მართვა მოითხოვს რამდენიმე ამოცანაზე ყურადღების ერთდროულად კონცენტრირების უნარს.

ალკოჰოლი და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები ცვლის ადამიანის თავის ტვინისა და სხეულის ნორმალურ ფუნქციონირებას და, მათი ზემოქმედების ფონზე, ყველაზე გამოცდილი მძღოლიც კი ვერ ახერხებს უსაფრთხოდ მართვას.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერება განსხვავებულ გავლენას ახდენს ავტომობილის მართვის უნარებზე, ნებისმიერმა ნივთიერებამ, რომელიც ცვლის თქვენს ცნობიერებას, გარემოს ადეკვატურ აღქმას, ანელებს რეაქციის სიჩქარეს, **შეიძლება გავლენა იქონიოს მანქანის მართვაზე** - ხშირად, ტრაგიკული შედეგებით.





# ფაქტები ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ავტომობილის მართვასთან დაკავშირებით

ფატალური ან მძიმე ავარიის **2-ჯერ უფრო მაღალი**  
**რისკი** მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ (რისკი 16-  
ჯერ იზრდება მარიხუანასა და ალკოჰოლის  
ერთდროულად მიღების შემთხვევაში)

ფატალური ან მძიმე ავარიის **2-10-ჯერ უფრო**  
**მაღალი რისკი** კოკაინის ზემოქმედების ქვეშ

ფატალური ან მძიმე ავარიის **5-30-ჯერ უფრო**  
**მაღალი რისკი** ამფეტამინების ზემოქმედების ქვეშ





ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტებს მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებიც **თრგუნავენ ადამიანის თავის ტვინისა და სხეულის აქტივობას** (ალკოჰოლი, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები, ოპიოიდები, ინჰალანტები). ეს ნივთიერებები აქვეითებენ სწრაფი რეაგირების უნარს, ყურადღების კონცენტრაციას, იწვევენ გაბრუებასა და ძილიანობას, ართულებენ ინფორმაციის გადამუშავებისა და ერთზე მეტი ამოცანის ერთდროულად შესრულების პროცესებს.

**ალკოჰოლი** ანელებს თავის ტვინსა და სხეულში მიმდინარე პროცესებს. იგი აქვეითებს მხედველობის სიმახვილეს, ყურადღებას, მოძრაობის კოორდინაციას, იწვევს თავბრუსხვევას, ანელებს რეაქციის სისწრაფეს; აქვეითებს საკუთარი შესაძლებლობების კრიტიკული შეფასების, ათვისებისა და სწორი გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარს; აძნელებს საგნებს შორის მანძილის ადეკვატური აღქმას.

**საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები** იწვევენ ძილიანობას, აქვეითებენ მოძრაობათა კოორდინაციას, ართულებენ გარემოს ადეკვატურ აღქმას, აუარესებენ მეხსიერებას, გავლენას ახდენენ რეაქციის სისწრაფეზე, ყურადღების გადანაწილების უნარზე; მათი ზემოქმედების ქვეშ ქვეითდება სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა და კოორდინირებული მოძრაობის უნარები. ამ ჯგუფის ნივთიერებების ერთჯერადი მიღების შემდეგ აღწერილი ეფექტები შეიძლება გაგრძელდეს 4-დან 24 საათამდე, კონკრეტული ნივთიერების თავისებურებებისა და მოხმარებული დოზების გათვალისწინებით.

**ოპიოიდები** (ოპიუმი, ჰეროინი, მეთადონი, ფენტანილი) იწვევენ ძილიანობას, მხედველობის გაბუნდოვნებას, რეაქციის დროის შენელებას, უყურადღებობას, მოძრაობათა კოორდინაციის დარღვევას, ზრდის შეცდომების დაშვების რისკს.





ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულანტებს მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებსაც ახასიათებს გამააქტივებელი, მასტიმულირებელი მოქმედება ადამიანის თავის ტვინსა და სხეულზე (კოკაინი, ამფეტამინი, მეთამფეტამინი). მათი ეფექტები მოიცავს გულისცემის აჩქარებას და არტერიული წნევის მომატებას, შფოთვას და საკუთარი შესაძლებლობების გადაფასებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს: უყურადღებობა, მოუსვენრობა, ავტომობილის აგრესიული და სახიფათო მართვა, გადაჭარბებული რისკიანობა.

**კოკაინს** შეუძლია, წარმატებით შენიღბოს დაღლილობა; თუმცა, მაღალი დოზები აქვეითებს აბროვნების უნარს და ხელს უშლის მძღოლს კონცენტრირებაში. კოორდინაცია დაქვეითებულია; იზრდება იმპულსური ქცევები, რაც ზრდის რისკებს მართვის დროს. ადამიანი, რომელიც მოიხმარს კოკაინს, ინარჩუნებს სიფხიზლისა და სტიმულირების ილუზიას, თუმცა მისი ფიზიკური რეაქციები დაქვეითებულია. კოკაინის მოხმარება გავლენას ახდენს მხედველობაზე, იწვევს მხედველობის გაბუნდოვნებას, მხედველობით ილუზიებს და მხედველობის პერიფერიულ ველში შექის მოძრაობამ შეიძლება აიძულოს მძღოლი, გადაუხვიოს გზიდან.

**ამფეტამინების** გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს კონცენტრაციას, გააუარესოს მხედველობა და გაზარდოს მძღოლის მიდრეკილება რისკისკენ.







ჰალუცინოგენებს მიეკუთვნება ნივთიერებები, რომლებიც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გზით იწვევს გუნებ-განწყობისა და აღქმის ცვლილებას ილუზიებისა და ჰალუცინაციების წარმოქმნით (მარიხუანა, ექსტაზი, ლიბერგინის მჟავას დიეთილამიდი (LSD). ამ ნივთიერებების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს რეალურად არსებული ობიექტების დამახინჯებული აღქმა (ილუზიები) ან არარსებული ობიექტების აღქმა (ჰალუცინაციები).

ჰალუცინოგენების ზემოქმედება განსხვავებულია და შეიძლება ჰქონდეს არაპროგნოზირებადი გავლენა მართვის უნარზე. ზოგადად, მათი ეფექტები შემდეგია: ილუზიები და ჰალუცინაციები, მხედველობის დარღვევა, აზროვნების აბნევა, მოძრაობათა კოორდინაციის, გარემოსა და დროის აღქმის დარღვევა.

**მარიხუანას** შეუძლია, ზეგავლენა იქონიოს მოძრაობით და შემეცნებით იმ უნარებზე, რომლებიც აუცილებელია ავტომობილის უსაფრთხო მართვისთვის.

მარიხუანა აქვეითებს თვალყურის დევნების, რამდენიმე ამოცანის ერთდროულად შესრულების უნარებს, განსაკუთრებით, ახალ და მოულოდნელ სიტუაციებში; მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს უჭირთ სიჩქარისა და დისტანციის შენარჩუნება და დაგვიანებულად რეაგირებენ სტიმულებზე.

კანაფის ზემოქმედებით, უარესდება **შემეცნებითი უნარებიც** - მოკლევადიანი მეხსიერება, გადაწყვეტილების მიღება, კონცენტრაცია, დაგეგმვა, დროისა და გარემოს აღქმა და სათანადო რეაგირება.



**ჰალუცინოგენები**

# სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერების ერთდროული მოხმარების რისკები



- სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების კომბინირებამ - იქნება ეს არალეგალური ან ლეგალური ნივთიერებების შერევა, თუ ალკოჰოლის რეცეპტით გაცემულ მედიკამენტებთან ერთად მიღება, შეიძლება ისეთი გავლენა მოახდინოს ადამიანის თავის ტვინზე და სხეულზე, რომლებიც სახიფათოა მანქანის მართვისთვის.
- სხვადასხვა ნივთიერების კომბინირების ეფექტები არაპროგნოზირებადია, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ავარიის რისკი გაცილებით იზრდება ორი ან მეტი ნივთიერების ერთდროული მოხმარების შედეგად.



# როგორ დავრწმუნდე, რომ ჩემთვის უსაფრთხოა მანქანის მართვა?



არ მიუჭდეთ საჭეს, თუ მიღებული გაქვთ ალკოჰოლი ან სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები



ნებისმიერი წამლის მიღების წინ გადაამოწმეთ თქვენს მკურნალ ექიმთან, მოქმედებს თუ არა ის მანქანის მართვის უნარზე



არ შეწყვიტოთ მედიკამენტების მიღება ან არ შეცვალოთ დოზა ექიმთან კონსულტაციის გარეშე, რადგან ამან ასევე შეიძლება რისკის ქვეშ დაგაყენოთ მანქანის მართვისას



წამლის ინსტრუქციაში წაიკითხეთ გამაფრთხილებელი ინფორმაცია თქვენს მედიკამენტზე, რათა შეამოწმოთ, არის თუ არა ის უსაფრთხო მართვისთვის



ფრთხილად იყავით ახალი მედიკამენტების მიღებისას, რადგან შესაძლოა თქვენს ორგანიზმს დრო დასჭირდეს მათთან ადაპტაციისთვის. ახალ საძილე და დამამშვიდებელ, ანტიჰისტამინურ (ალერგიის საწინააღმდეგო) ან სხვა ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე ადაპტაციას შეიძლება დასჭირდეს დღეები და კვირებიც კი.

